ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №36

2022 წლის 22 დეკემბერი

ქ. ყვარელი

„ყვარლის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 05 ივლისის №53 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნას ცვლილება ,,ყვარლის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ'' ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 05 ივლისის №53 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 11/07/2018 წ. 200230000.35.164.016327), კერძოდ: დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ყვარლის მუნიციპლიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ილია მზექალაშვილი

დანართი N1

ყვარლის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის ინსტრუქცია

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ყვარლის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის ინსტრუქცია (შემდგომში – ინსტრუქცია) აწესრიგებს ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალური ნარჩენების წარმომქმნელთა მიერ დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მოსაკრებლის განაკვეთის დაწესების, გადახდის წესსა და მოსაკრებლის გადამხდელთა უფლება-მოვალეობებს.

2. ყვარლის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის განაკვეთი განისაზღვრება მისი დადგენის მომენტისთვის მოქმედი კანონების შესაბამისად, მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული დანახარჯების, მათ შორის საექსპლუატაციო და ტექნიკური მომსახურების, კაპიტალური და/ან ფინანსირების ხარჯების საფუძველზე, სუბსიდირების შესაძლებლობების გათვალისწინებით და მომსახურების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის პრინციპის დაცვით.

3. ინსტრუქციაში გამოყენებული ტერმინები უნდა განიმარტოს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი" გამოყენებულ ტერმინთა განმარტების შესაბამისად.

მუხლი 2. რეგულირების სფერო

1. ყვარლის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი (შემდგომში – მოსაკრებელი) წარმოადგენს ყვარლის მუნიციპალიტეტის მიერ შესაბამისი უფლებამოსილი პირის, ყვარლის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახურის" (ს/კ:441555363) (ოპერატორი) მეშვეობით გაწეული მომსახურებისათვის – მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისა და ნარჩენების მართვისათვის საჭირო ხარჯების (გაწეული მომსახურების) საფასურს, რომელიც ირიცხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

2. ყვარლის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავება გულისხმობს მუნიციპალიტეტის

ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებას და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებას, ტრანსპორტირებას და განთავსებას.

3. ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება მოიცავს საზოგადოებრივი სარგებლობისათვის განკუთვნილ საავტომობილო და ქვეითად მოსიარულეთა სავალ ქუჩებს, გასასვლელებს, გზებს, მოედნებს, სანაპიროებს, ტროტუარებს, ხიდებს, საზოგადოებრივი სარგებლობის გამწვანებულ ტერიტორიებს, ხევებსა და ფერდობებს და გულისხმობს ნაგვის, შლამის, ცხოველური ექსკრემენტების მოწმენდას და ფოთლების, ბალახისა და სარეველა მცენარეების მოშორებას.

4. ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის ორგანიზება მოიცავს ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცილებას, შეგროვებას, ტრანსპორტირებას, საბოლოო ადგილზე განთავსებას.

მუხლი 3. სამართლებრივი საფუძვლები

ინსტრუქციის მიღების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", საქართველოს კანონი ,,ნარჩენების მართვის კოდექსი", საქართველოს კანონი ,,ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის №159 დადგენილება „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" და ,,ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ" ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №53 განკარგულება.

მუხლი 4. მოსაკრებლის გადამხდელი

მოსაკრებლის გადამხდელი არის ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელიც ყვარლის მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიაზე წარმოქმნის მუნიციპალურ ნარჩენს (ნარჩენის წარმომქმნელი).

მუხლი 5. მოსაკრებლის გაანგარიშების საფუძვლები

1. მოსაკრებლის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს გაწეული მომსახურების კატეგორიები და მომსახურების მიმღები.

2. გაასწევი მომსახურება მოიცავს ტერიტორიის დასუფთავებას, ნარჩენების შეგროვებას და განთავსებას.

3. მომსახურების მიმღები შეიძლება იყოს მოსახლეობა, კომერციული და სამრეწველო ობიექტები.

4. ისეთი ნარჩენების მართვა, რომელიც არ მიეკუთვნება საყოფაცხოვრებო ნარჩენებს, ხდება ნარჩენების წარმომქმნელსა და ოპერატორს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით, „ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფებისა და დანახარჯების ანაზღაურების სისტემის შემუშავების მეთოდოლოგიის" საფუძველზე.

5. მოსაკრებელი გაიანგარიშება მოსახლეობისათვის სულადობის მიხედვით, ხოლო იურიდიული პირების, ორგანიზაციების, დაწესებულებების და ინდ. მეწარმეებისათვის – დაგროვებული ნარჩენების წონის, მოცულობის ან/და ნარჩენების დაგროვების ნორმის, ნარჩენების სახეობის მიხედვით, ინდივიდუალური ან საერთო სარგებლობის ურნებით სარგებლობის გათვალისწინებით.

მუხლი 6. მოსაკრებლის განაკვეთი

1. ყვარლის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის განაკვეთი ერთ სულ მოსახლეზე განისაზღვროს დანართი №1-ის შესაბამისად, ხოლო იმ ფიზიკური პირებისათვის, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სოციალურად დაუცველის სტატუსი, შეღავათები განისაზღვრება საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილების შესაბამისად. ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად, სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 4 სულით.

2. მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის დადგენილი დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთი განისაზღვრება სრული ხარჯთაღრიცხვით დადგენილი დანახარჯის თვითმმართველობის ბიუჯეტიდან სუბსიდირების საფუძველზე.

3. მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობა დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისათვის, იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალური მეწარმეთათვის, ინდივიდუალური ურნებით მომსახურების შემთხვევაში, ერთ კუბურ მეტრ ნარჩენებზე განისაზღვროს დანართი №1-ის შესაბამისად.

4. მოსაკრებლის განაკვეთი წესდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავებისათვის კალენდარული წლისთვის საჭირო ხარჯების შესაბამისად.

მუხლი 7. მოსაკრებლის გადახდის წესი

1. ორგანიზაციები, დაწესებულებები, ინდივიდუალური მეწარმეები, იურიდიული და ფიზიკური პირები, ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების მომსახურებას ანაზღაურებენ მოსაკრებლის გადახდის გზით.

2. მოსაკრებელი მთლიანად ჩაირიცხება ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესაბამის ანგარიშზე.

3. მოსაკრებლის გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების საშუალებით.

4. მოსაკრებელი გადაიხდევინება თვეში ერთხელ, დასუფთავების მოსაკრებლის ქვითრის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

5. მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მოსაკრებლის გადახდის ქვითარი გამოიწერება იმ უძრავი ქონების მესაკუთრეზე/მოსარგებლეზე, რომლის საკუთრებაშიც ან სარგებლობაშიც წარმოიქმნება მუნიციპალური ნარჩენები.

6. ფიზიკური პირი (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა) მოსაკრებელს იხდის მხოლოდ ერთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

7. მოსაკრებელის გადახდა ორგანიზაციების, იურიდიული პირებისათვის, ინდივიდუალური მეწარმისა და დაწესებულებებისათვის განხორციელდება ხელშეკრულების (დანართი №2-ის) საფუძველზე.

8. მოსაკრებელი შეიძლება გადახდილ იქნეს ქვითარში დაფიქსირებული ნებისმიერი გადამხდელის ან მისი წარმომდგენი სხვა პირის მიერ (ქვითარში დაფიქსირებული პირის სასარგებლოდ).

9. მესაკუთრის მოიჯარის ან მოსარგებლის შეცვლის შემთხვევაში ყოფილმა მესაკუთრემ, მოიჯარემ ან მოსარგებლემ მოსაკრებლის მიმდინარე დავალიანება უნდა დაფაროს იმ თვის ბოლომდე, რომელშიც მოხდა საკუთრების გადაცემა/დაბრუნება.

10. თუ წინასწარგადახდილი თანხა, რომელიც შეტანილი იყო მოსაკრებლის ახალი განაკვეთის ძალაში შესვლისას უფრო მცირეა, ვიდრე გადახდის დღის დადგომის შემდეგ, სხვაობა უნდა დაიფაროს განაკვეთის ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში. თუკი წინასწარ გადახდილი თანხა, რომელიც შეტანილი იყო ახალი განაკვეთის ძალაში შესვლამდე, აღემატება ახალ ამოქმედებულ განაკვეთს, სხვაობა ახალი განაკვეთის ამოქმედების შემდეგ უნდა გამოაკლდეს ახალი განაკვეთის თანხას.

11. სავალდებულოა მოსაკრებლის გადახდა დადგენილ ვადებში.

12. მოსაკრებლის გადაუხდელობა ან გადახდის წესების დარღვევა ჩაითვლება წინამდებარე წესების დარღვევად და იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. მომხმარებელთა უფლებები და მოვალეობები

1. წინამდებარე წესის ამოქმედების დღიდან აღნიშნული პირები ავტომატურად ითვლებიან მომსახურების მიმღებებად.

2. მუნიციპალური ნარჩენების წარმომქმნელი სამეწარმეო იურიდიული პირი უფლებამოსილია, არ ისარგებლოს ნარჩენების შეგროვების მუნიციპალური სამსახურის მომსახურებით და მის მიერ წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენები შესაგროვებლად და დასამუშავებლად გადასცეს იმ პირს, რომელსაც საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ შესაბამისად მინიჭებული აქვს ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების უფლება. ასეთ შემთხვევაში ნარჩენების წარმომქმნელი ვალდებულია წინასწარ შეატყობინოს აღნიშნულის თაობაზე ყვარლის მუნიციპალიტეტს.

3. ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი ბინის/სახლის მესაკუთრე/ მოსარგებლე ვალდებულია რეგისტრაცია გაუკეთოს მის საკუთრებაზე მცხოვრები პირების რაოდენობასა და რაოდენობის ცვლილებას. ასევე, მესაკუთრე/ მოსარგებლე ფიზიკური პირი, რომლის საკუთრებაშიც/სარგებლობაშიც წარმოიქმნება ნარჩენი, ვალდებულია წარმომქმნელთა რაოდენობის ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ ან/და არაუმეტეს 30 კალენდარული დღისა აცნობოს მოსაკრებლების გადახდევინებისათვის პასუხისმგებელ სამსახურს.

4. დაწესებულებები, ორგანიზაციები, იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები ვალდებულნი არიან

დადგენილი წესით რეგისტრაციიდან, ან შექმნის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის დღიდან (აგრეთვე რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, საქმიანობის პროფილის, მისამართის, ადგილმდებარეობის და ნებისმიერი სახის ცვლილების შემთხვევაში) არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, აღნიშნულის თაობაზე აცნობონ შესაბამის სამსახურს. მიუხედავად შეტყობინების განხორციელების დღისა, დაწესებულებები, ორგანიზაციები, იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები ვალდებულნი არიან მოსაკრებელი გადაიხადონ მომსახურების მიღების მთელ პერიოდზე.

მუხლი 9. მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლება

1. მოსაკრებელი არ დაერიცხება საწარმოებს, ორგანიზაციებსა და შენობა-ნაგებობებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო არ ფუნქციონირებს, გამოუყენებელია და არ წარმოიქმნება ნარჩენი.

2. მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება წყდება ნარჩენების წარმომქმნელთა მიერ ყვარლის მუნიციპალიტეტში ნარჩენების წარმოქმნის შეწყვეტისთანავე.

მუხლი 10. ზედამხედველობა და დავების გადაწყვეტა

1. ნარჩენების შეგროვების პროცესის მონიტორინგსა და ზედამხედველობას ახორციელებს ყვარლის მუნიციპლიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახური.

2. მუნიციპალური ნარჩენების წარმომქმნელსა და ოპერატორს შორის წარმოშობილი დავა წყდება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების (დანართი №2) და ურთიერთშეთანხმების გზით, ხოლო შეთანხმების შეუძლებლობის შემთხვევაში, სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ოპერატორსა და ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, ინდივიდუალურ მეწარმეებსა და იურიდიულ პირებთან მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით წარმოშობილი სადავო საკითხები შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეცემა ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს.

გასული წლების დანახარჯები									
მომსახურების ძირითადი სახე	სამუშაო ძალა	ავტომანქანებისა და აღჭურვილობის საექსპლუატაციო ხარჯები	სახარჯიმასლები	იჯარის ან ქირის გადასახადი	საკონტრაქტო მომსახურება	სესხის და ფარვა	ცვეთა და/ან სესხის ძირის და ფარვის, პროცენტის გადახდა და რეკაპიტალიზაცია	დაუხარისხებელი ხარჯები	სულ
ქუჩებისა და საზოგადოებრივი ადგილების დასუფთავება (პარკები და სხვ.)	197,700	140,000	120,500						458,200
ნარჩენების შეგროვება	440,320	340,000							780,320
ნარჩენების განთავსება									0
ნარჩენების გადამუშავება									0
სულ	638,020	480,000	120,500	0	0	0	0	0	1,238,520

დანახარჯების განაწილება - მიწოდებული მომსახურების საფუძველზე			
მომსახურების სახე	დანახარჯების პროგნოზირების საფუძველი	გასული წლების რეალური დანახარჯები*	პროგნო ზირებული დანახარჯი
ქუჩებისა და საზოგადოებრივი ადგილების დასუფთავება	ნებისმიერი შეფასება მხოლოდ მაგალითისთვის	458,200	990,000
ნარჩენების შეგროვება	ნებისმიერი შეფასება მხოლოდ მაგალითისთვის	780,320	550,000
ნარჩენების განთავსება (ნაგავსაყრელის ოპერირების ხარჯი)	ნებისმიერი შეფასება მხოლოდ მაგალითისთვის.	0	0
ნარჩენების გადამუშავება	ნებისმიერი შეფასება მხოლოდ მაგალითისთვის	0	0
სულ		1,238,520	1,540,000

შეგროვების დანახარჯების განაწილება მომხმარებლების ტიპების მიხედვით		
მომსახურების სახე	პროგნოზირებული დანახარჯი მყარი ნარჩენების მართვის გეგმიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	მთლიანი პროგ ნოზირებული დანახარჯი
ნარჩენების შეგროვება	არ არის ცნობილი	550,000
საყოფაცხოვრებო	ნარჩენების დადგენილი მოცულობა ან წონა	70%
		385,000
კომერციული	ნარჩენების დადგენილი მოცულობა ან წონა	10%
		55,000
სამრეწველო	ნარჩენების დადგენილი	20%

	მოცულობა ან წონა	110,000
ნარჩენების გადამუშავება (რეციკლირება)	მომსახურება არ წარმოებს	0
სულ		550,000

საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების მომსახურება		
ხარჯების განაწილება - მომსახურების ტიპის მიხედვით		
გასანაწილებელი თანხა		385,000
მომსახურების სახე	დანახარჯების განაწილების საფუძველი	განაწილებული თანხის % წილი
კარდაკარ	ხელმძღვანელობის მოსაზრება ამ მომსახურების მიწოდებისთვის დახარჯული რესურსების საფუძველზე	10%
		38,500
საერთო კონტეინერები	ხელმძღვანელობის მოსაზრება ამ მომსახურების მიწოდებისთვის დახარჯული რესურსების საფუძველზე	90%
		346,500.00
ბუნკერები	ხელმძღვანელობის მოსაზრება ამ მომსახურების მიწოდებისთვის დახარჯული რესურსების საფუძველზე	0%
		0.00
სულ		385,000

კომერციული ნარჩენების შეგროვების მომსახურება		
ხარჯების განაწილება - მომსახურების ტიპის მიხედვით		
გასანაწილებელი თანხა		55,000
ნარჩენების შეგროვება	დანახარჯების განაწილების საფუძველი	განაწილებული თანხა
ინდივიდუალური მომსახურების საფასური	ხელმძღვანელობის მოსაზრება ამ მომსახურების მიწოდებისთვის დახარჯული რესურსების საფუძველზე	0%

სულ		0
საერთო კონტეინერების მომსახურების საფასური	ხელმძღვანელობის მოსაზრება ამ მომსახურების მიწოდებისთვის დახარჯული რესურსების საფუძველზე	100%
სულ		55,000.00

კომერციული ნარჩენების შეგროვების მომსახურება			
ხარჯების განაწილება - მომსახურების ტიპის მიხედვით			
გასანაწილებელი თანხა		110,000	
ნარჩენების შეგროვება	დანახარჯების განაწილების საფუძველი	განაწილებული თანხა	
ინდივიდუალური მომსახურების საფასური	ხელმძღვანელობის მოსაზრება ამ მომსახურების მიწოდებისთვის დახარჯული რესურსების საფუძველზე	10%	
სულ		11,000	
საერთო კონტეინერების მომსახურების საფასური	ხელმძღვანელობის მოსაზრება ამ მომსახურების მიწოდებისთვის დახარჯული რესურსების საფუძველზე	90%	
სულ		99,000.00	

ხარჯების განაწილება - მყარი ნარჩენების განთავსება	
გასანაწილებელი თანხა	0

მომსახურების კატეგორია	დანახარჯების განაწილების საფუძველი	განაწილებული თანხის % წილი	განაწილებული თანხა
საყოფაცხოვრებო	წარმოქმნილი ნარჩენების % წილი	60%	0
კომერციული	წარმოქმნილი ნარჩენების % წილი	10%	0
სამრეწველო	წარმოქმნილი ნარჩენების % წილი	30%	0

სულ				0

დასუფთავების მომსახურება	
მომსახურების მომხმარებლები	რაოდენობა ადამიანები ან ბიზნეს ობიექტები
მოსახლეობის რაოდენობა	41,763
უზრუნველყოფილია ნარჩენების განთავსების მომსახურებით	41,738
არ არის უზრუნველყოფილი ნარჩენების განთავსების მომსახურებით	25
კომერციული ობიექტები	40
სამრეწველო ობიექტები	20

დასუფთავების მომსახურება				
მომსახურება	რაოდენობა	მომსახურებასთან დაკავშირებული დანახარჯი	თვეში ერთ სულზე საჭირო ტარიფი	კანონმდებლობთ დადგენილი ტარიფის მაქსიმალური ოდენობა
განაწილების საფუძველი		990,000		
მთელი მოსახლეობა	41,763		1.98	
უზრუნველყოფილია შეგროვების მომსახურებით	41,738		1.98	
არ არის უზრუნველყოფილი შეგროვების მომსახურებით	25		3,300.00	
შეგროვების მომსახურება				
საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების მომსახურება				
შემოთავაზებული ტარიფები				
მთლიანი დანახარჯი	385,000			
მომსახურება	დანახარჯების განაწილების	განაწილებული დანახარჯი	დანახარჯების სრულად ანაზღაურებაზე დამყარებული	კანონმდებლობთ დადგენილი ტარიფის

	საფუძველი		ტარიფი თვეში ერთ სულზე	მაქსიმალური ოდენობა
კარდაკარ	მომსახურების მიმღები ადამიანების რაოდენობა	38500	0.64	3 /ერთ სულზე 12 /ოჯახზე
საერთო კონტეინერები	მომსახურების მიმღები ადამიანების რაოდენობა	346500	0.79	3 /ერთ სულზე 12 /ოჯახზე
ბუნკერები	მომსახურების მიმღები ადამიანების რაოდენობა	0	#DIV/0!	3 /ერთ სულზე 12 /ოჯახზე
კომერციული ნარჩენების შეგროვების მომსახურება				
შემოთავაზებული ტარიფები				
მთლიანი დანახარჯი	55,000			
მომსახურება	დანახარჯების განაწილების საფუძველი	განაწილებული დანახარჯი	დანახარჯების სრულად ანაზღაურებაზე დამყარებული ტარიფი თვეში ერთ ბიზნესზე	კანონმდებლობთ დადგენილი ტარიფის მაქსიმალური ოდენობა
ინდივიდუალური	კომერციული ობიექტების რაოდენობა რომელიც იღებენ საბაზისო მომსახურებას	0	#DIV/0!	25.0 / იურიდიული პირზე ან დაწესებულებაზე
ყოველი დამატებითი ურნის ტარიფი	ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება დამატებით ურნის დადგმისა და დაცლის საორიენტაციო დანახარჯის საფუძველზე, რომელიც შეადგენს ძირითადი მომსახურების ტარიფის პროცენტულ წილს	100%	#DIV/0!	
საერთო კონტეინერები	კომერციული ობიექტების რაოდენობა, რომლებიც განლაგებულია ისეთ შენობებში, სადაც კარდაკარ მომსახურება არ ვრცელდება	55,000	8.33	25 /იურიდიული პირზე ან დაწესებულებაზე
სამრეწველო ნარჩენების შეგროვების მომსახურება				
შემოთავაზებული ტარიფები				
მთლიანი დანახარჯი	110,000			
	დანახარჯების	მომსახურებასთან		

	განაწილების საფუძველი	დაკავშირებული დანახარჯი	ტარიფები	ტარიფის შეზღუდვები
ინდივიდუალური	კონტრაქტი მომსახურების საფუძველზე, ტარიფის მინიმალური ზღვარი	11,000	18.33333333	25.0 / იურიდიული პირზე ან დაწესებულებაზე
საერთო კონტეინერები	კონტრაქტი მომსახურების საფუძველზე, ტარიფის მინიმალური ზღვარი	99,000	165.00	25.0 / იურიდიული პირზე ან დაწესებულებაზე
ნარჩენების განთავსების მომსახურება				
შემოთავაზებული ტარიფები				
გასანაწილებელი თანხა	0			
მომხმარებელთა კლასიფიკაცია	მომსახურებასთან დაკავშირებული დანახარჯები	დანახარჯების განაწილების საფუძველი	შემოთავაზებული თვიური ტარიფი	კანონმდებლობთ დადგენილი ტარიფის მაქსიმალური ოდენობა
საყოფაცხოვრებო	0	მომსახურების მიმღები მოსახლეობა	0.00	ზღვრული ოდენობა ყველა მომსახურებაზე ერთად არ უნდა აღემატებოდეს 12 ერთ ოჯახზე/ თვეში
კომერციული	0	ბიზნესის რაოდენობა და ტიპი	0.00	ზღვრული ოდენობა ყველა მომსახურებაზე ერთად არ უნდა აღემატებოდეს 12 ერთ ბიზნესზე/ თვეში
სამრეწველო	0	კონტრაქტები	0	დანახარჯის სრული ანაზღაურება
სულ	0			

შეგროვების მომსახურების მომხმარებლები	
მომხმარებლები	მომხმარებელთა რაოდენობა
საყოფაცხოვრებო	
კარდაკარ	5000
საერთო კონტეინერები	36,738

ბუნკერები	0
სულ	41,738
კომერციული	
ინდივიდუალური (ურნების რაოდენობა)	0
საბაზისო სტანდარტული მომსახურება (ურნების რაოდენობა (1100 ლიტრიან ურნაზე გათვლა)	0
დამატებითი კონტეინერი (ურნების რაოდენობა (ურნების რაოდენობა (1100 ლიტრიან ურნაზე გათვლა)	0
საერთო კონტეინერები (ურნების რაოდენობა (ურნების რაოდენობა (1100 ლიტრიან ურნაზე გათვლა)	550
სულ	550
სამრეწველო	
ინდივიდუალური (ურნების რაოდენობა)	50
საერთო კონტეინერები (ურნების რაოდენობა)	0
სულ	50

ტარიფები				
მომხმარებლის ტიპი	მომხმარებლის რაოდენობა	ჯამური ყოველთვიური ტარიფი (შეგროვება და განთავსება) მომსახურების საფასურიდან გამომდინარე	ტარიფის მაქსიმალური ზღვარი	შეთავაზებული ტარიფი
მუნიციპალიტეტი				
დასუფთავება	41,763	0.70	სრული ამოღება	0.70
საყოფაცხოვრებო	41,738			
კარდაკარ	5,000	0.70		0.70
საერთო კონტეინერები	36,738	0.70	3.00	0.70
ბუნკერები	0	0.00	3.00	0.00
კომერციული				

ინდივიდუალური (1მ3 ნარჩენზე)	0	0.00	25.00	0.00
დამატებითი ურნები (1მ3 ნარჩენზე)	0	0.00		
საერთო კონტეინერები (ფიქსირებული მოსაკრებელი)	550	8.33	25.00	8.33
სამრეწველო				
ინდივიდუალური (ფიქსირებული მოსაკრებელი)	50	18.33	25.00	18.33
საერთო კონტეინერები (ფიქსირებული მოსაკრებელი)	0	165.00	25.00	25.00

შემოსავლები							
მომხმარებლის ტიპი	მომხმარებელთა რაოდენობა	მთლიანი თვიური ტარიფი (შეგროვება და განთავსება)	ტარიფის დასაშვები მაქსიმალური ოდენობა	მოსაკრებლების ამოღების მაჩვენებელი %	მთლიანი პროგნოზირებული შემოსავალი მოსაკრებლის ამოღების შერჩეული მაჩვენებლის პირობებში	მთლიანი დანახარჯი	საჭირო სუბსიდირება
მუნიციპალიტეტი							
დასუფთავება	41,763	0.70	სრული ანაზღაურება	100%	350,599	990,000	-639,401
საყოფაცხოვრებო	41,738						
კარდაკარ	5,000	0.70	მომსახურება არ არსებობს	100%	42,000.00	38,500	3,500.00
ნარჩენების საერთო კონტეინერები	36,738	0.70	3 /სულზე	100%	308,599	346,500	-37,900.80
ნარჩენების ბუნკერები	0	0.00	3 /სულზე	100%	0	0.00	0
სულ					350,599	385,000	34,401
კომერციული							
ინდივიდუალური	0	0.00	25	100%	0	0	0
დამატებითი ურნები	0	0.00			0	0	0
საერთო კონტეინერები	550	8.33	25	100%	55,000	55,000	0
სულ					55,000	55,000	0
სამრეწველო							

ინდივიდუალური	50	18.33	25	100%	11,000	11,000	0
საერთო კონტეინერები	0	165.00	25	100%	0	99,000	-99,000
სულ					0	110,000	110,000
				სულ	756,198.40	1,540,000	-783,802